ირაკლი ფაღავას N6
0144 თბილისი, საქართველო
ცხელი ხაზი:**1481(24/7)**
www.ombudsman.ge
ელ-ფოსტა: **info@ombudsman.ge**

საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN)
OF GEORGIA

04 მარტი 2025 წ.

KA000037850367525

№ **25/1729**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადოდ მსჯავრდებულის, [redacted] განცხადება, თანდართული მასალებით და განცხადების ირგვლივ აპარატის მიერ მოპოვებული დოკუმენტაცია.

მასალების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 23 მაისის განაჩენით [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 338-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 237-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით და 109-ე მუხლის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტებით. მიესაჯა უვადო თავისუფლების აღკვეთა. 2025 წლის 15 იანვარს [redacted] თბილისის საქალაქო სასამართლოს სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვის შუამდგომლობით მიმართა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლის განჩინებით, მიუხედავად [redacted] არსებული მრავალი დადებითი ფაქტორისა, მსჯავრდებულს პირობით გათავისუფლებაზე უარი ეთქვა. 2025 წლის 12 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლის [redacted] განჩინებაზე [redacted] ადვოკატმა 12 თებერვლის საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა.

აღნიშნულ საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია როგორც უშუალოდ მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის, ისე სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებისთვის მსგავსი საკითხის გადაწყვეტისას, რამდენადაც მსგავს შემთხვევებზე სასამართლოს მიერ გაკეთებულ განმარტებებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ადამიანის უფლებათა დაცვაში. შესაბამისად, სახალხო დამცველმა გადაწყვიტა, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, სასამართლოს წარუდგინოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება.

წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მომზადებულია მსჯავრდებულის[1], თბილისის საქალაქო სასამართლოსა[2] და სპეციალური პენიტენციური სამსახურის[3] მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველის უფლებამოსილება განისაზღვრება ორგანული კანონით“.[4]

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში“.[5]

სასამართლოს მეგობრის მოსაზრება მიზნად არ ისახავს რომელიმე მხარის პოზიციის მხარდაჭერას და ახდენს ადამიანის უფლებათა სამართლის მხოლოდ იმ სტანდარტის იდენტიფიცირებას, რომელიც დადგენილია ადგილობრივი და საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ.

ფაქტობრივი გარემოებები

უვადოდ მსჯავრდებულ [redacted] შუამდგომლობა სასჯელის სახით დანიშნული უვადო თავისუფლების აღკვეთის გადასინჯვისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.[6] გადაწყვეტილებაში აღნიშნულია:

განაჩენი/სასჯელი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 23 მაისის განაჩენით [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 338-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 237-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, 236-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით და 109-ე მუხლის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტებით.

177-ე მუხლის 1-ელი ნაწილით მიესაჯა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 338-ე მუხლის მე-4 ნაწილით - 4 (ოთხი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 237-ე მუხლის 1-ელი ნაწილით - თავისუფლების აღკვეთა 5 (ხუთი) წლის ვადით, 236-ე მუხლის 1-ელი ნაწილით - 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით - 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა და 109-ე მუხლის „ა“ და „ი“ ქვეპუნქტებით - უვადო თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის საფუძველზე, [redacted] საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა უვადო თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2001 წლის 28 მარტიდან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2002 წლის 12 სექტემბრის განჩინებით, უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 23 მაისის განაჩენი [redacted] მიმართ დარჩა უცვლელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განაჩენით [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378^2 მუხლის 1-ელი ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით. საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით დაუდგინდა უვადო თავისუფლების აღკვეთა.

დასჯილია: 2008 წლის 28 ივლისის დადგენილებით მოთავსდა კარცერში სხვადასხვა საკნებში გადაძახილის გამო. 2010 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური გასეირნების დროს სხვა პატიმართან გადაძახილით დაკავშირების გამო. 2011 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებით 5 დღე-ღამით მოთავსდა სამარტოო საკანში სხვადასხვა საკნებში გადაძახილისა და შენიშვნაზე უხეშად რეაგირების გამო.

ფსიქოლოგის შეფასებით - [redacted] ხასიათდება დადებითად. მას აქვს სინანულის განცდა მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. აცნობიერებს საკუთარ ბრალს, თუმცა სასჯელს მკაცრად მიიჩნევს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო გამოხატავს მზაობას, რომ გათავისუფლების შემთხვევაში დაასაქმებს მსჯავრდებულს და დაუნიშნავს ხელფასს.

სასამართლო გადაწყვეტილებაში ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებებზე:

- **ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი** - [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ყოფნის პირობებში გასამართლებულია. აგრეთვე, სამჯერ (2008, 2010 და 2011 წელს) არის

დისციპლინურად დასჯილი პენიტენციური დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისთვის. მართალია, ბოლო პერიოდში მსჯავრდებული აღარ დასჯილა, თუმცა ზემოაღნიშნული გარემოებები მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათთან ერთობლიობაში იძლევა იმის საფუძველს, რომ მსჯავრდებულის საზოგადოებისგან იზოლაცია აუცილებელია.

- **დაზარალებულის პოზიცია** - კონფლიქტის ხელახალი ესკალაციისა და ახალი დანაშაულის რისკის შეფასებისას, სასამართლო იხმობს დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციას, რომელიც წინააღმდეგია [redacted] მიმართ შეღავათების გამოყენების და გათავისუფლების შემთხვევაში მასზე შურისძიებას არ გამორიცხავს. ამასთან, მედიატორი მიიჩნევს, რომ მაღალია დაზარალებულთან კონფლიქტის წარმოშობის რისკი და საჭიროა მედიაციის პროცესი.

განჩინების თანახმად, აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მსჯავრდებული რესოციალიზებულად ვერ ჩაითვლება, ვინაიდან მას უნდა ჰქონდეს გათავისებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, ხასიათი და ტრაგიკული, გამოუსწორებელი შედეგი. აღნიშნული უნდა გამოიხატებოდეს სინანულში, რაც აღქმადი უნდა იყოს როგორც სასამართლოსთვის, ისე დაზარალებულისთვის. აგრეთვე, დანაშაულის განმეორებითი ჩადენის რისკის (სასჯელის მოხდისას ჩადენილი დანაშაული და სასჯელის მოხდის პირობებში დისციპლინური სახდელები) მხედველობაში მიღებით, სასამართლომ [redacted] შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კანონმდებლობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებისა და სასჯელის მოუხდელი ნაწილის შემსუბუქების წესი განისაზღვრება კანონით.[7]

კანონით, უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის პირობით ვადამდე გათავისუფლება ან მისთვის დანიშნული სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით (შინაპატიმრობა ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა) შეცვლის უფლებამოსილება აქვს სასამართლოს. უვადოდ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მან წარმატებით გაიარა იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა და ფაქტობრივად მოიხადა თავისუფლების აღკვეთის ოცი წელი, ხოლო შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლა - გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის წარმატებით გავლისა და თავისუფლების აღკვეთის 15 წლის ფაქტობრივად მოხდის შემთხვევაში.[8]

საქართველოს კანონმდებლობა დეტალურად აყალიბებს კონკრეტულ მოთხოვნებს/ კრიტერიუმებს, რომლებიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს უვადოდ მსჯავრდებული პირისათვის სასჯელის შემსუბუქება/შეცვლის განხილვის დროს,[9] რაც შემდეგია:

- უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელი ანგარიში;
- დანაშაულის ხასიათი – ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მისი ჩადენის გარემოებები და ვითარება, ჩადენილია თუ არა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში;
- სასჯელის მოხდისას მსჯავრდებულის მიერ გამოვლენილი ქცევა – გამოყენებული დისციპლინური, ადმინისტრაციული და წამახალისებელი ღონისძიებების რაოდენობა და სახე, კონკრეტულად რა სახის ქმედების გამო, დაწესებულების დებულების, დღის განრიგის, მოვალეობების შესრულებისა და სამართლებრივი რეჟიმის დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, ნასამართლობა – წარსულში რამდენჯერ, რა სიმძიმის და რა სახის დანაშაულის ჩადენის ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა სახის, რა სიმძიმის დანაშაულებისთვის და რამდენჯერ იყო ნასამართლევი;
- დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკი - მოლოდინი იმისა, თუ რამდენად დიდია მსჯავრდებულის გათავისუფლების შემთხვევაში მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის ალბათობა;
- ოჯახური პირობები – მსჯავრდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრებთან, ჰყავს თუ არა მცირეწლოვანი შვილები, შრომისუუნარო ოჯახის სხვა წევრები, ახლო ნათესავების მატერიალური მდგომარეობა და სხვა;
- მსჯავრდებულის პიროვნება – დამოკიდებულება ჩადენილ დანაშაულთან, დაწესებულების მოსამსახურეებთან და სხვა მსჯავრდებულებთან, ინფორმაცია სასჯელის მოხდისას სოციალურ აქტივობებში მიღებული მონაწილეობის შესახებ,

საჭიროებს თუ არა განსაკუთრებულ ზედამხედველობას დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რაც პიროვნების შეფასების შესაძლებლობას იძლევა.

უვადოდ მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას არანაკლებ ორი და არაუმეტეს შვიდი წლისა.[10] პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულის ყოფაქცევის კონტროლს ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიურო.[11] გამოსაცდელ ვადაში თუ მსჯავრდებულმა: განზრახ თავი აარიდა მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას, შესაძლებელია გაუქმდეს პირობით ვადამდე გათავისუფლება და აღსრულდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი; თუ გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა - პირობით ვადამდე გათავისუფლების გაუქმების ან ძალაში დატოვების საკითხს წყვეტს სასამართლო; ხოლო თუ განზრახი დანაშაული ჩაიდინა - სასამართლო დაუნიშნავს მას სასჯელს კანონით გათვალისწინებული წესით.[12]

საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პოზიციით, პირობით ვადამდე გათავისუფლების პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები, მათი განხორციელების წესი და მსჯელობა მიეკუთვნება სახელმწიფოების უფლებამოსილებას.[13] სახელმწიფოს არჩევანი კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სისტემის სასარგებლოდ, მათ შორის, სასჯელის გადახედვისა თუ ვადამდე გათავისუფლების საკითხებზე, ხვდება ევროპული სასამართლოს ზედამხედველობის სფეროს მიღმა იმ პირობით, თუ სისტემა არ ეწინააღმდეგება კონვენციით დადგენილ პრინციპებს.[14]

მართალია, დასჯა თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი მიზანია, თუმცა ევროპული სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა აქცენტს აკეთებს პატიმრობის სარეაბილიტაციო მიზანზე, როგორც გრძელვადიანი სასჯელის სასურველ საბოლოო შედეგზე.[15] ასევე, დანაშაულის ხელახლა ჩადენის პრევენცია წარმოადგენს საპატიმრო სასჯელის ერთ-ერთ „უმთავრეს ფუნქციას".[16] ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი აცხადებს, რომ მსჯავრდებულებს, მათ შორის უვადო პატიმრებს, უნდა შეეძლოთ რეაბილიტაცია[17] და, ასევე, უნდა ჰქონდეთ გათავისუფლების პერსპექტივა რეაბილიტაციის გავლის შემდეგ.[18] იმ გარემოებებში, როდესაც მთავრობა ცდილობს დაეყრდნოს მხოლოდ დამნაშავეების მიერ საზოგადოების წინაშე არსებულ რისკს, რათა გაამართლოს მათი პატიმრობა, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დამნაშავეთა რეაბილიტაციის წახალისების საჭიროება. ხოლო რეაბილიტაციის ერთ-ერთი მიზანია ხელახალი დანაშაულის თავიდან აცილება და ამით საზოგადოების დაცვის უზრუნველყოფა.[19]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ[20] უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის საქმის განხილვისას შეაჯამა და ჩამოაყალიბა ზოგადი პრინციპები:

- თავისუფლების აღკვეთის ლეგიტიმური საფუძვლებია: დასჯა, შეკავება, საზოგადოების უსაფრთხოება და რეაბილიტაცია;
- უვადო თავისუფლების აღკვეთის სასჯელის გადახედვა უნდა გულისხმობდეს საკითხების განხილვას: არის თუ არა პატიმრის ცხოვრებაში რაიმე ცვლილება და აღნიშნება თუ არა რეაბილიტაციისკენ პროგრესი; და არის თუ არა ეს ცვლილებები იმდენად მნიშვნელოვანი, რომ თავისუფლების აღკვეთის გაგრძელება აღარ იყოს გამართლებული ლეგიტიმური მიზნებით;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს წესებს, რომლებსაც აქვთ საკმარისი სიცხადე და უტყუარობა;
- ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი პირობები უნდა შეესაბამებოდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;
- შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ობიექტურ, წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებს;
- უნდა განიხილებოდეს რელევანტური ინფორმაცია;
- განხილვა უნდა ითვალისწინებდეს საკმარის საპროცესო გარანტიებს;
- რამდენადაც საჭიროა პატიმარმა იცოდეს, რა უნდა გააკეთოს გათავისუფლების განხილვისთვის და რა პირობებით, საჭიროა მიზეზების დადგენა, დასაბუთება; დაცული უნდა იყოს სასამართლო განხილვის ხელმისაწვდომობა.

ევროპული ციხის წესების[21] თანახმად, ყველა პატიმარს უნდა გაეწიოს შეღავათი მათი მომზადებისას, გათავისუფლების შემდგომ თავისუფალ საზოგადოებაში დასაბრუნებლად; მისჯილ პატიმრებს უნდა დაეხმარონ, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა პროცედურებსა და სპეციალურ პროგრამებში, რომელიც დაეხმარება მათ მოახდინონ ტრანსფორმაცია ციხეში ცხოვრებიდან სამართალმორჩილი ცხოვრებისაკენ ნორმალურ საზოგადოებაში; იმ პატიმართა შემთხვევაში რომლებიც დიდი ვადით რჩებიან ციხეში, მიღებული უნდა იქნას ზომები, რომლებიც თანდათანობით მოახდენს მათ დაბრუნებას თავისუფალ საზოგადოებაში; ეს მიზანი შეიძლება მიღწეული იქნას ციხეებში გათავისუფლებისათვის მოსამზადებელი პროგრამების არსებობით, ან ნაწილობრივ ან პირობითი გათავისუფლებით, ზედამხედველობის ქვეშ, ძლიერ სოციალურ დახმარებასთან კომბინაციაში.

პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების[22] თანახმად, სასურველია რომ სასჯელის ვადის დასრულების წინ მიღებულ იქნას ზომები პატიმრის თანდათანობითი დაბრუნებისათვის საზოგადოებაში. ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია თითოეული სამართალდამრღვევის თავისებურების გათვალისწინებით, განსაკუთრებული რეჟიმის შემუშავების გზით თვით ციხეში ან რომელიმე სხვა დაწესებულებაში. ასევე, პატიმრის გათავისუფლების საცდელი ვადით, რომლის განმავლობაშიც ისინი ჯერაც ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, იმ პირობით, რომ ამგვარი ზედამხედველობა არ ევალება პოლიციას და იგი შერწყმულია ეფექტურ სოციალურ დახმარებასთან.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის[23] თანახმად:

- პირობით ვადამდე გათავისუფლების ვადის და კრიტერიუმების შესახებ უნდა იცოდნენ პატიმრებმა[24] და ამ უფლების მისაღებად მოსახდელი სასჯელის მინიმალური ვადა უნდა განისაზღვროს კანონით[25]; ასევე, კრიტერიუმები, უნდა იყოს მკაფიო და რეალისტური იმ თვალსაზრისით, რომ უნდა გაითვალისწინოს პატიმართა პიროვნული, სოციალური და ეკონომიკური გარემოებები, პროგრამების ხელმისაწვდომობა[26];
- უზრუნველყოფილია შემდეგი გარანტიებით: მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ პირადად მოსმენისა და იურიდიული დახმარების უფლება; გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ ყურადღებით უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ელემენტი, მათ შორის მსჯავრდებულთა განცხადებები, მსჯავრდებულებს უნდა ჰქონდეთ ადეკვატური წვდომა თავიანთ საქმეზე; გადაწყვეტილებებში უნდა იყოს მითითებული ძირითადი მიზეზები და ეცნობოს წერილობით[27]; გადაწყვეტილების მიმღებ პირებს უნდა ჰქონდეთ ანგარიშები, მათ შორის, ზეპირი განცხადებები ციხეში მომუშავე პერსონალისგან, ვინც იცნობს პატიმრებს და მათ პირად მდგომარეობას[28];
- პირობით გათავისუფლებულ პატიმართა რეციდივის რისკის შესამცირებლად შესაძლებელი უნდა იყოს ინდივიდუალური პირობების დაკისრება[29]; პირობით გათავისუფლებას ასევე უნდა ახლდეს ზედამხედველობა, რომელიც შედგება დახმარებისა და კონტროლის ზომებისგან. ზედამხედველობის ბუნება, ხანგრძლივობა და ინტენსივობა უნდა იყოს ადაპტირებული ინდივიდუალურ შემთხვევაზე და დაწესდეს გარკვეული პერიოდის განმავლობაში[30];
- მსჯავრდებულებს უნდა შეეძლოთ საჩივრის შეტანა მაღალ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში და ჰქონდეთ პროცედურული გარანტიები; ასევე, ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჩივრების პროცედურები პირობითი გათავისუფლების განხორციელებასთან დაკავშირებით[31].

სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგის შედეგები

უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირების საშეღავათო მექანიზმით სარგებლობისას გამოკვეთილი ხარვეზები და ტენდენციები

2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა საერთო სასამართლოების მიერ 2023 წელს უვადო მსჯავრდებულების შუამდგომლობების განხილვის მასალები შეისწავლა.[32] იმ დროისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების **პროგრამაში ჩართული იყო 50 მსჯავრდებული,** ხოლო საერთო სასამართლოებისთვის **შუამდგომლობით მიმართული ჰქონდა 19** უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს. ნარდგენილი შუამდგომლობებიდან **არც ერთი არ დაკმაყოფილდა.**

გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ საერთო სასამართლოები შუამდგომლობის განხილვის დროს მხედველობაში იღებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვადასხვა გარემოებებს.[33] თუმცა, **ხშირ შემთხვევაში, გადაწყვეტილებებში ყურადღება არ ეთმობა დისციპლინური გადაცდომებისა თუ სასჯელის მოხდისას ჩადენილი ახალი დანაშაულის ხანდაზმულობას, აგრეთვე, შეიცვალა თუ არა მსჯავრდებულის ქცევა დადებითისკენ და როგორია დინამიკა. გადაწყვეტილებები არ შეიცვას საკმარის დასაბუთებას და მკაფიობას იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ხედავენ სასამართლოები მსჯავრდებულის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივას. ამავდროულად, გადაწყვეტილებებში არ არის საკმარისი აქცენტები იმასთან დაკავშირებით, რომ ჩადენილი დანაშაული, რისთვისაც განსაზღვრულია უვადო თავისუფლების აღკვეთა, არ გამორიცხავს, მისი ჩადენის ხერხის ხასიათის მიუხედავად, პირის გათავისუფლების რეალურ პერსპექტივებს.**[34]

სახალხო დამცველის აპარატი დაინტერესდა შეიცვალა თუ არა ვითარება 2024 წლის მანძილზე და **სამწუხაროდ, გამოვლინდა, რომ 2024 წელსაც ანალოგიური ვითარება იქნა შენარჩუნებული.** კერძოდ, 2024 წელს საერთო სასამართლოებს **უვადო თავისუფლების აღკვეთის შეცვლის ან სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით მიმართა 22-მა მსჯავრდებულმა/ადვოკატმა.**[35] **აქედან 18 შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, ხოლო 3 შუამდგომლობის განხილვა, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასრულებული არ იყო.**[36]

ამრიგად, გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა დაასრულა და სასამართლოს 2023-2024 წლებში მიმართა 37-მა უვადო თავისუფლებააღკვეთილმა მსჯავრდებულმა (რომელი საქმეების განხილვაც დასრულებულია), და მათგან არცერთის მიმართ არ არის გამოყენებული პირობით ვადამდე გათავისუფლება ან სასჯელის შეცვლა შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი მათგანი ხასიათდება დადებითად, არ ფასდება განმეორებით დანაშაულის ჩადენის მაღალი რისკით, ემორჩილება და ასრულებს ციხის დისციპლინასა და შინაგანაწესს, მუშაობს, გადის სასწავლო პროგრამებს, სარგებლობს ოჯახის მხარდაჭერით, აქვს მომავალში საზოგადოებაში რეინტეგრაციის მკაფიო ხედვა და სხვა.

გარდა ამისა, 2024 წელს სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა უვადოდ მსჯავრდებულების მიმართ გამოტანილი განაჩენები, სისხლის სამართლის საქმეები, გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის ანგარიშები და მათი ისტორია სასჯელის მოხდის პერიოდში, რასთან დაკავშირებითაც გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი“.[37]

წინამდებარე სპეციალური ანგარიშის მიზანია, მკითხველს გააცნოს საერთაშორისო პრაქტიკა და ევროპული სტანდარტები უვადოდ თავისუფლებააღკვეთილი პირებისთვის სასჯელის შეფარდების, მათზე შეღავათის გავრცელებისა და ე. წ. „იმედის უფლების“ მიმართულებით; მიმოიხილოს საქართველოში არსებული გარანტიები და მექანიზმები ევროპულ სტანდარტებთან მიმართებით; მაქსიმალურად დეტალურად მიმოიხილოს უვადო მსჯავრდებულების ბრალდების სისხლის სამართლის საქმეთა გაცნობის შედეგად გამოკვეთილი როგორც ინდივიდუალური, აგრეთვე, არაერთხელ განმეორებადი ხარვეზები; წარმოაჩინოს პენიტენციურ სისტემაში სასჯელის მოხდის პერიოდში უვადო მსჯავრდებულებთან მიმართებით გამოვლენილი ტენდენციები.

ანგარიშში მათ შორის, მითითებულია, რომ სისტემაში დღეს მყოფი უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირების ნაწილი, იმაზე დიდი ხანია იმყოფება საზოგადოებისგან იზოლირებულად, ვიდრე თავისუფლებაზე იმყოფებოდნენ (ისევე როგორც მაგალითად [redacted], რომელიც დააკავეს 21 წლის ასაკში და პენიტენციურ სისტემაში იმყოფება თითქმის 24 წელია).

სახალხო დამცველი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ **განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების სამართლიანი აღსრულება, მათ შორის, მსხვერპლთა ოჯახების ინტერესების ადეკვატური დაცვა. თუმცა, ამავდროულად, აღნიშნულმა არ უნდა შექმნას იმგვარი მდგომარეობა, რომ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების უფლებრივი გარანტიები და მათი პირობით ვადამდე გათავისუფლების პერსპექტივები დარჩეს კანონმდებლობის ილუზორული ხასიათის ფორმალურ ჩანაწერებად.**

მოცემული საქმის ანალიზი

მსჯავრდებულ [redacted] პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარი ეთქვა მიუხედავად იმისა, რომ მან წარმატებით გაიარა უვადო თავისუფლების აღკვეთით

მსჯავრდებული პირის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა, აქვს დადებითი დახასიათება, მოტივირებულია, მონაწილეობა აქვს მიღებული 20-ზე მეტ აქტივობაში, დასაქმებულია პენიტენციურ დაწესებულებაში, არ არის კონფლიქტური და აგრესიული, არამედ თავაზიანი.

მსჯავრდებულ [redacted] პირადი საქმის თანახმად, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის პირობებში სამჯერ დაეკისრა დისციპლინური სახდელი: 2008 წლის 28 ივლისის დადგენილებით მოთავსდა კარცერში სხვადასხვა საკნებში გადაძახილის გამო, 2010 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით გამოეცხადა საყვედური გასეირნების დროს სხვა პატიმართან გადაძახილით დაკავშირების გამო და 2011 წლის 28 ოქტომბრის განკარგულებით 5 დღე-ღამით მოთავსდა სამარტოო საკანში სხვადასხვა საკნებში გადაძახილისა და შენიშვნაზე უხეშად რეაგირების გამო. ხოლო, ოთხჯერ წახალისდა: 2014 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებით გამოეცხადა მადლობა, 2017 წლის 2 თებერვალს მიეცა დამატებით ხანმოკლე პაემანი, 2018 წლის 19 აგვისტოს - დამატებით ხანმოკლე პაემანი და 2021 წლის 23 მარტს გამოეცხადა მადლობა.

[redacted] გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში მოცემულია სოციალური მუშაკის ანგარიში მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროებების შეფასების შესახებ, რომლის თანახმად მსჯავრდებულის მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი საშუალოა, ხოლო დანაშაულის განმეორებით ჩადენის შემთხვევაში ზიანის დონე - დაბალი. აქვე მითითებულია, რომ [redacted] არ არის კონფლიქტური, არ ავლენს ასერტიულ ქცევას, აღიარებს დანაშაულს, აქვს სინანულის განცდა, არის ემპათიური დაზარალებულების მიმართ. აქვს მკაფიოდ განსაზღვრული სამომავლო გეგმები, მისი მოტივატორია შვილი. ოჯახთან შენარჩუნებული აქვს ახლო ურთიერთობა. აქვს ძლიერი მხარდამჭერი ქსელი ოჯახისა და ახლო ნათესავების სახით.

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში მოცემულია დაზარალებულ მხარესთან დაკავშირებული ინფორმაციის ამსახველი ანგარიში, რასაც ამზადებს სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი (დაზარალებულთან კომუნიკაციის სპეციალისტი) დაზარალებულთან/დაზარალებულის უფლებამონაცვლესთან კომუნიკაციის შემდეგ. ანგარიშის თანახმად, ერთი დაზარალებული უფლებამონაცვლის (გარდაცვლილ [redacted] ოჯახის წევრების) მოძიება ვერ მოხერხდა. მეორე დაზარალებულის, გარდაცვლილ [redacted] ოჯახის წევრებთან შედგა მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაცია და მათ დაზარალებულთან კომუნიკაციის სპეციალისტთან პირისპირ შეხვედრაზე უარი განაცხადეს მას შემდეგ, რაც შეიტყვეს, რომ საუბარი შეეხებოდა მსჯავრდებულის შესაძლო გათავისუფლების საკითხს. დაზარალებულის ოჯახის წევრებმა განმარტეს, რომ ჩადენილმა დანაშაულმა გარდაცვლილთა ოჯახები გაამწარა, უმჯობესია, [redacted] დარჩეს პენიტენციურ დაწესებულებაში მისივე უსაფრთხოებისთვის.

[redacted] პირად საქმეში არსებული ინფორმაციით, დაზარალებულ მხარესთან მედიაციის პროცესის ინიცირება/წარმართვა შეუძლებელია.[38]

[redacted] პირად საქმეში არსებული ინფორმაციით, [redacted] სასჯელის მოხდის პირობებში, 2015-2024 წლების პერიოდში, 23 ტრენინგ-კურსში აქვს მიღებული მონაწილეობა, რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტებით (სერთიფიკატები). გარდა ამისა, [redacted] აქტიურადაა ჩართული საკნის გარე აქტივობებში, კერძოდ: სპორტულ ტურნირებში, რეკრეაციულ ღონისძიებებში და საინფორმაციო ტრენინგებში.

გათავისუფლებისათვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მსჯავრდებულის მისაღებად ოჯახის მზაობის შესახებ. ინფორმაციის თანახმად, [redacted] ფაქტობრივი მისამართია ქალაქი [redacted], სადაც ამჟამად ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები (შვილი და სიდედრი). სოციალურმა მუშაკმა განახორციელა ვიზიტი აღნიშნულ მისამართზე, სადაც გაესაუბრა [redacted] (სიდედრი). მიღებული ინფორმაციით, [redacted] მეუღლე, [redacted] ემიგრაციაშია. ოჯახის წევრები იყენებდნენ პაემნებს. ოჯახს კარგი მატერიალური მდგომარეობა აქვს და მზად არის გათავისუფლების შემთხვევაში ფინანსურად უზრუნველყოს მსჯავრდებული. [redacted] გადმოცემით, [redacted] შეძლებისდაგვარად ჩართულია შვილის აღზრდის პროცესში, მსჯავრდებული დასაქმებულია პენიტენციურ დაწესებულებაში და პერიოდულად გარკვეულ თანხას უგზავნის შვილს. ოჯახში ვიზიტით გამოიკვეთა, რომ ოჯახის წევრები [redacted] საუბრობენ დადებითად, არ ვლინდება ოჯახის წევრების ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულება, კანონთან კონფლიქტურობა ან ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულე. საცხოვრებელ სახლში შექმნილია უსაფრთხო და კეთილსაიმედო გარემო.

პირად საქმეში არსებული ინფორმაციით, 2020 წლის 3 სექტემბრიდან [redacted] დასაქმებულია [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში [redacted]

როგორც უკვე აღინიშნა, თბილისის საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილება დაასაბუთა ახალი დანაშაულის რისკის არსებობით, რასაც სასამართლოს შეფასებით, ქმნის დანაშაულის ხასიათი, პენიტენციურ დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენისა და დისციპლინურად დასჯის ფაქტები და ამასთან, დაზარალებულის უფლებამონაცვლის უარყოფითი პოზიცია.

გადაწყვეტილებაში სასამართლო არ გვთავაზობს მკაფიო მსჯელობას, თუ დისციპლინური გადაცდომები და სასჯელის მოხდისას ჩადენილი ახალი დანაშაული რა ხანდაზმულობისაა და კონკრეტული კანონდარღვევის შემდეგ რამდენმა წელმა გაიარა, შეიცვალა თუ არა მსჯავრდებულის ქცევა რადიკალურად დადებითისკენ და როგორია დინამიკა. ამასთან, არ არის ნახსენები ის ნახალისებები, რაც მსჯავრდებულმა დისციპლინური სახდელების შემდეგ არაერთხელ მიიღო. როგორც აღინიშნა, [redacted] დასჯილია სამჯერ და უკანასკნელი სახდელი მიიღო 2011 წელს, ხოლო მას შემდეგ ოთხჯერ წახალისდა (2014, 2017, 2018 და 2021 წელს). ამასთან, სასამართლო არ ახსენებს არც [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში დასაქმებასა და არც მის მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში.

ახალი დანაშაულის რისკის დასასაბუთებლად გამოყენებულია პენიტენციურ დაწესებულებაში 2011 წელს დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რაზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 4 მარტის განაჩენით [redacted] ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 378^2 მუხლის 1-ელი ნაწილით. [redacted] პირად საქმეში არსებული განაჩენით, დგინდება, რომ [redacted] პენიტენციურ დაწესებულებაში ერთ-ერთ მსჯავრდებულს შეუტანეს მობილური ტელეფონი, რითაც ისარგებლა [redacted] და დაუკავშირდა ოჯახის წევრს.

როგორც აღინიშნა, სასამართლო [redacted] საქმეში დაზარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციას ახალი დანაშაულის ჩადენის რისკთან აკავშირებს. თუმცა, გაუგებარია, თუ დაზარალებულის უფლებამონაცვლე არის კონფლიქტურად განწყობილი მსჯავრდებულის მიმართ, აღნიშნული როგორ ზრდის [redacted] მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებს. აღსანიშნავია, რომ მედიაციის პროცესი ვერ შედგა, მიუხედავად ამისა, სასამართლო უთითებს, რომ მსჯავრდებულის სინანულის განცდა უნდა დაინახოს სასამართლომ და დაზარალებულის მხარემ. სასამართლო არ განმარტავს, რას ელის მსჯავრდებულისგან, რა შეუძლია მან თავისი ქმედებით შეცვალოს ამ კუთხით. რა თქმა უნდა, სასამართლო ქცევის სრულ მოდელს წინასწარ ვერ შეუდგენს პატიმარს, მაგრამ იმისთვის, რომ მსჯავრდებულისთვის სრულიად ბუნდოვანი არ იყოს სასამართლოს მოტივაცია და უარის მიზეზი, მაშინ როდესაც მისი ქცევები მკაფიოდ დადებით დინამიკაშია, მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოს პოზიცია იყოს მკაფიო და პატიმრისთვის აღქმადი.

აღსანიშნავია, რომ [redacted] ქალაქ [redacted], სადაც ცხოვრობს დაზარალებულის ოჯახი. ამჟამად, გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამის შემაჯამებელ ანგარიშში მითითებულია, რომ გათავისუფლების შემთხვევაში მსჯავრდებული იცხოვრებს ქალაქ [redacted]

რაც შეეხება ანგარიშში მითითებულ - განმეორებით დანაშაულის ჩადენის „საშუალო" რისკს - საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშში „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი"[39], ყურადღება დაეთმო ამ საკითხსაც და სრული მონაცემების სისტემური გაანალიზების შედეგად მითითებულია, რომ **„თითქმის ყველა მსჯავრდებულის მიმართ საშუალო რისკის (დაბალი რისკი არცერთი პატიმრის მიმართ არ არის განსაზღვრული) შეფარდება ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ხსენებული მახასიათებლის განსაზღვრა, შესაძლოა, ხდებოდეს შაბლონურად და ბლანკეტურად, ინდივიდუალური მახასიათებლების ჯეროვანი შეფასებების გარეშე. ცხადია, აღნიშნული საკითხი დელიკატურად შესაფასებელი და ყურადღებაგასამახვილებელია, თუმცა პატიმრების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობის მიმართ, მათი განსხვავებული მონაცემების პირობებში, ერთი და იმავე რისკის სახის გამოყენება ტოვებს განცდას, რომ შეფასების პროცესში არ არის გამოყენებული სრულად ინდივიდუალური მიდგომა."[40]**

დასკვნა

ვიმედოვნებ, თბილისის სააპელაციო სასამართლო ჯეროვნად იმსჯელებს ზემოაღნიშნულ გარემოებებზე და წარმოადგენს დასაბუთებულ პოზიციას განსახილველ საკითხზე.

მსჯავრდებულისთვის გასაგები უნდა იყოს, მიუხედავად ჩადენილი დანაშაულებისა და გარკვეული უარყოფითი ფაქტორებისა (რომელთა უმრავლესობას წლების ხანდაზმულობა გააჩნია), მის მხარეს არსებული დადებითი ფაქტორების მხედველობაში მიღებით, კიდევ რა დადებით ქცევას ელის მისგან სასამართლო. სასამართლოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი ქცევისა და მოტივაციის მიმართულებით უნდა იყოს გამჭვირვალე, რათა მსჯავრდებულისთვის „იმედის უფლებამ" არ მიიღოს აბსტრაქტული და მხოლოდ თეორიული ხასიათი.

ვინაიდან გარემოებების სწორი სამართლებრივი გადაწყვეტა უშუალო გავლენას ახდენს როგორც ინდივიდების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფაზე, ასევე, სასამართლოს შემდგომი პრაქტიკის განვითარებაზე, ხელს შეუწყობს დასაბუთებული გადაწყვეტილების სტანდარტის დამკვიდრებას, დადებით გავლენას მოახდენს მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის და კანონმორჩილი ცხოვრებისკენ დაბრუნებაში, მოგმართავთ სასამართლოს შეგობრის მოსაზრებით.

დამატებით, გაცნობებთ, რომ გამოვთქვამთ მზადყოფნას მსჯავრდებულ [redacted] საჩივრის განხილვაზე ზეპირი განმარტების მისაცემად.

პატივისცემით,

---

[1] [redacted] 2025 წლის 7 თებერვლის N35231/24 და 2025 წლის 19 თებერვლის N47273/24 განცხადებები.
[2] თბილისის საქალაქოს სასამართლოს 2025 წლის 13 თებერვლის N2/116 წერილი.
[3] სპეციალური პენიტენციური სამსახურის N8 პენიტენციური დაწესებულების 2025 წლის 16 თებერვლის N53864/24 წერილი.
[4] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 35, პუნ. 4.
[5] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონი, მუხ. 21, ქვეპ. „ე".
[6] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2025 წლის 5 თებერვლისს [redacted] განჩინება.
[7] საქართველოს კონსტიტუცია, მუხ. 62, პუნქ. 2.
[8] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 73, ნაწ. 7; საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 1, 2.
[9] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 285[1], ნაწ. 5.
[10] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 64, ნაწ. 1, 2.
[11] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72, ნაწ. 5.
[12] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხ. 72[1], ნაწ. 2.
[13] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kafkaris v. Cyprus, განაცხადი N21906/04 §151.
[14] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others V. UK განაცხადები N 66069/09, 130/10 and 3896/10) პარ. 103.
[15] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 115.
[16] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 108.
[17] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 103.
[18] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2013 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე: Vinter and others v. UK განაცხადები N66069/09, 130/10 and 3896/10 პარ. 114.
[19] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 102.
[20] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2016 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Murray v. the Netherlands განაცხადი N10511/10 პარ. 100.
[21] ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე) პუნქტ. 33.3, 107.1-107.3.
[22] მიღებულ იქნა 1955 წელს ჟენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მიერ 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 60 (2).
[23] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2003)22 პირობით გათავისუფლების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წლის 24 სექტემბერს მინისტრთა მოადგილეების 853-ე შეხვედრაზე) იხ. <https://rm.coe.int/16800ccb5d> ბოლოს ნანახია: 3.10.2022 წელს.
[24] იქვე, პუნქტი 5.
[25] იქვე პუნქტები 16 და 22.
[26] იქვე, პუნქტი 18.
[27] იქვე, პუნქტი 32.
[28] იქვე. პუნქტი 25.
[29] იქვე, პუნქტი 8.
[30] იქვე, პუნქტები 9 და 10.
[31] იქვე, პუნქტები 33-34.
[32] 2021 წლის 9 თებერვალს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცდა „უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების პროგრამა", რაც მსჯავრდებულების პირველმა ნაკადმა 2023 წელს დაასრულა. შესაბამისად, საერთო სასამართლოები 2021 წლის შემდეგ, მხოლოდ 2023 წლიდან იყვნენ უფლებამოსილი, განეხილათ უვადო თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული პირების მიმართ პირობით ვადამდე გათავისუფლების ან სასჯელის შინაპატიმრობით ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით შეცვლის შესახებ შუამდგომლობები.
[33] დადგენილს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 285[1] მუხლით.
[34] იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2023 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 103-105 (ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf) და სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, გვ. 253-263 (ხელმისაწვდომია: https://www.ombudsman.ge/res/docs/2024040518060876432.pdf)
[35] სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2025 წლის 24 იანვრის N2070/01 წერილი.

[36] იქვე.
[37] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი".
[38] სსიპ დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 22 სექტემბრის N2/89224 წერილი.
[39] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულების მიმართ განხორციელებული მართლმსაჯულებისა და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკანონმდებლო და პრაქტიკული ანალიზი".
[40] იქვე, გვ. 55. < https://www.ombudsman.ge/res/docs/2025022611314390691.pdf >

საქართველოს სახალხო დამცველი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან იოსელიანი